

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 13

ქ. თბილისი

14.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი გოცირიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ერეკლე ასტახიშვილი
ლევან ჯიქია

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:35 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხის - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა - დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან პირველი საკითხის შემთხვევაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო მეორე შემთხვევაში დაწესებულებამ მოითხოვა საკითხის განხილვის გადადება.

სხდომის თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი :

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი და უახლესი სიტორია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	100405
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის

მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა აღნიშნა რომ ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ და ამასთანავე პოზიტიურ ვითარებაში. ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა რეკომენდაციები. მნიშვნელოვანი იყო გადამუშავებული ყოფილიყო საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სილაბუსი, რათა კურსი აგებული ყოფილიყო კვლევით პრობლემებზე და ამასთანავე კურსში ასახულიყო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა. საჭირო იყო პირველწყაროების ინტენსიური გამოყენება, რაც ექსპერტის აზრით ჯეროვნად არ სრულდებოდა. ერთ რეკომენდაციად მოხდა ასახვა იმ შენიშვნებისა, რომლებიც არსებობდა უშუალოდ მოცემულ 10 კრედიტიან საგნთან მიმართებაში და მისსავე სილაბუსში არსებულ ე.წ სემინარი I -თან მიმართებაში რაც ფაქტობრივად იმეორებდა საგნის ირგვლივ არსებულ რეკომენდაციებს. ბიბლიოთეკის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ის აღჭურვილი იყო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, თუმცა ეს არ იყო ასახული იმ დოკუმენტებში, რომლებიც წარედგინათ ექსპერტებს, რის შედეგადაც მათ სთხოვეს დაწესებულების წარმომადგენლებს რომ მომხდარიყო ლიტერატურის სამომავლო ასახვა სილაბუსებში. ერთ ერთ შენიშვნას წარმოადგენდა შეფასების დივერსიფიკაცია საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ან რუსული ენა. ექსპერტთა ღრმა რწმენით საჭირო იყო რუსული ენა შეცვლილიყო ევროპული ენით და მიღების წინაპირობად განსაზღვრულიყო ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენის ცოდნა B2 დონეზე. რეკომენდაციას წარმოადგენდა სასწავლო კომპონენტის შემცირება 60-დან 45 კრედიტამდე, 10 კრედიტიანი საგნების შემცირება 5 კრედიტამდე და კვლევითი კომპონენტისთვის 10 კრედიტის დამატება. სასწავლო კურსის “სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიების” გაერთიანება არჩევით კურსთან - “ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა” და არჩევით ბლოკში მისი წარმოდგენა როგორც გაერთიანებული საგნისა. გამოთავისუფლებული კრედიტების დამატება კვლევით კომპონენტში და არჩევით საგნებად ისეთი საგნების ჩასმა, როგორიც იქნებოდა ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია. ბოლო რეკომენდაცია შეეხებოდა კარიერული ოფისის გააქტიურებას, დივერსიფიკაციას და დასაქმების სფეროში უნივერსიტეტის გააქტიურებას როგორც რეგიონის და ქვეყნის ასევე საერთაშორისო მასშტაბითაც.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა ესაუბრათ არგუმენტირებული პოზიციის წერილზე რომელშიც საუბარი შეეხებოდა მხოლოდ პუბლიკაციების ნაწილს და არა მთლიანად დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ იცოდნენ, რომ არგუმენტირებული პოზიციის წერილში უნდა ესაუბრათ მხოლოდ ფაქტობრივ უზუსტობებზე, ამიტომ მათ საპასუხო წერილში დააკონკრეტეს ის, რომ გარდა რუსეთისა და აზერბაიჯანისა პროგრამაში მონაწილე პერსონალი პუბლიკაციებს აქვეყნებდა სხვა ქვეყნებშიც, თუმცა იზიარებდნენ ექსპერტთა რჩევას და პერსონალის ის ნაწილიც,

რომლებსაც პუბლიკაციები არ ჰქონდათ სხვა ქვეყნებში, მომავალში ნაშრომებს გამოაქვეყნებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის გარდა სხვა ქვეყნების ჟურნალებშიც.

ექსპერტმა განმარტა, რომ მისი მხრიდან ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მცირე უზუსტობას, რადგან როგორც გამოიკვეთა ტერმინი “ნაწილობრივ” სწორად ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა ციტატა ექსპერტთა დასკვნიდან, რომელიც ეხებოდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საგნის სილაბუსის გადამუშავებას, მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლებას და პირველწყაროების ჯეროვნად გამოყენების საკითხს და განაცხადა, რომ საკითხების სიღრმისეული დამუშავება ხდებოდა დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე და მის მიერ დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, სილაბუსში მითითებული თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენდა ორიენტირს. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სწავლებისას ყურადღება მახვილდებოდა სწორედ კვლევით პრობლემებზე და ყოველივე აისახებოდა სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებში. დოქტორანტს მიღების დროს და სწავლების პერიოდში განსხვავებულ დონეზე მოეთხოვებოდათ ენის ცოდნა, რასაც უზრუნველყოფდა პირველწყაროებზე მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაციის ირგვლივ აღნიშნა, რომ სილაბუსში ყოველთვის აისახებოდა ახალი ლიტერატურა, თუმცა რეაქრედიტაციის პროცესის დასაწყისში, დოკუმენტაციის წარდგენის ეტაპის დროს, იმდენად რამდენადაც ლიტერატურა შეძენილი არ იყო, ვერ მოხერხდა მისი ასახვა დოკუმენტაციაში. თუმცა ლიტერატურა შეძენილ იქნა ნოემბრის დასაწყისში და შესაბამის სილაბუსებში მისი ასახვა განხორციელდა, რასაც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ადასტურებდნენ ექსპერტებიც. ამასთანავე, ძველ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც გამოიყენებოდა დოქტურანტურის საფეხურზე ჰქონდა წყაროების დანიშნულება და აუცილებელი იყო სწავლის შედეგების მისაღწევად. მან ასევე წაიკითხა ამონარიდი აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნიდან, რომელიც შეეხებოდა სასწავლო კომპონენტის შემცირებას 60-დან 45 კრედიტამდე, 10 კრედიტიანი საგნების შემცირებას 5 კრედიტამდე, კვლევითი კომპონენტისთვის 10 კრედიტის დამატებას და არჩევითი კურსების შევსებას ისეთი საგნებით როგორებიც იყო - ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია. აღნიშნულთან დაკავშირებით მისი განცხადებით უნივერსიტეტი ეყრდნობოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებულ ოპტიმალური განაწილების სქემას, რომელიც ითვალისწინებდა კრედიტების მიმართებას - სამოცი ასოცთან. სპეციალობის ორი 10 კრედიტიანი საგნის შეტანა პროგრამაში, განპირობებული იყო იმით, რომ სასწავლო კომპონენტიდან გამოთავისუფლებული დრო დოქტორანტს გამოეყენებინა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისათვის. სპეციალობის თემატიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულებამ გამართლებულად მიიჩნია სპეციალობის ორი 10 კრედიტიანი საგნის დატოვება სასწავლო კომპონენტში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას არჩევით ბლოკში საგნების - ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია - დამატებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ საქართველოს და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია განიხილებოდა ისტორიოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის შუქზე, რაც აისახებოდა სილაბუსებშიც. მაგალითად, მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის სილაბუსით გაწერილი იყო რამოდენიმე საათი დამატებით დათმობოდა წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხებს. იგივე პრინციპებზე დაფუძნებით

ხდებოდა სადისერტაციო ნაშრომის დამუშავებაც, თუმცა დაწესებულება გამოთქვამდა მზადყოფნას გაეზიარებინათ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია და აღნიშნული საგნები დაემატებინათ არჩევით ბლოკში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა კანდიდატის მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგობისთვისაც, რომელიც შეძლებდა დარგის დისციპლინების სწავლებას. ამას ემსახურებოდა სავალდებულო საგანი - სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგია და არჩევითი საგანი - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა. აღნიშნული ორი საგანი ემსახურებოდა განსხვავებული უნარების გამომუშავებას და არსებობდა საფრთხე, რომ თუ ეს ორი საგანი გაერთიანდებოდა დოქტორანტი აღარ აირჩევდა აღნიშნულ კურსს, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა პროგრამის შედეგზე გასვლაში. რაც შეეხებოდა შეფასების კრიტერიუმების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებულ შენიშვნას, შეფასების კრიტერიუმები მსგავსი იყო მხოლოდ ერთნაირი სფეციფიკის საგნებში, რომლებიც ჯგუფდებოდა შემდეგნაირად: პირველი ჯგუფი, რომელშიც შედიოდა სემინარი I, დაკავშირებული საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიასთან და სემინარი II, რომელიც უკავშირდებოდა მსოფლიოს ახალ და უახლეს ისტორიას. მეორე ჯგუფი, მსოფლიოს და საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია და მესამე ჯგუფი, რომელშიც ერთიანდებოდა ყველა სხვა საგანი განსხვავებული შეფასების კრიტერიუმებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამაზე მიღების წინაპირობაში რუსული ენის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით ევროპული ენებით, განაცხადა რომ პროგრამისათვის რუსული ენის საჭიროებას განსაზღვრავდა პირველწყაროების მნიშვნელოვანი ნაწილის ამ ენაზე არსებობა. გერმანული და ფრანგულენოვანი ლიტერატურა მითითებული იყო დამატებით ლიტერატურად, საბოლოო ჯამში კი კურსებს პრობლემა არ ექმნებოდათ შედეგზე გასვლაში. რუსული ენის საჭიროება ასევე განპირობებული იყო რეგიონის სფეციფიკით. ასევე გათვალისწინებული იყო ექსპერტთა რჩევა სემინარი I და სემინარი II-ის თემატიკასთან მიმართებით სიტყვა "სავარაუდოს" დამატებასთან დაკავშირებით, თუმცა განმარტავდნენ რომ ტერმინი არ ჩანდა სილაბუსის ფორმატის გამო, მაგრამ აისახებოდა მიზნებში და შედეგებში. ამასთანავე, ექსპერტთა რჩევა, რომ აქტიურად გამოყენებულიყო თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში ვიზუალური მასალა სასწავლო პროცესში, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ასევე იქნებოდა მიღებული, თუმცა მან აღნიშნა რომ უნივერსიტეტს გააჩნდა შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ოთახი, რომლის გამოყენებაც ხდებოდა, თუმცა ეს ვერ დაფიქსირდა დოკუმენტაციაში რადგან ვიდეო მასალები ატვირთული იყო "YOUTUBE" - ზე, რაც არ წარმოადგენდა სამეცნიერო გვერდს და ამიტომ დაწესებულებამ ამის მითითება მიზანშეუწონლად ჩათვალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ხდებოდა უცხოელი ლექტორების მიერ ლექციების ჩატარება, რასაც მიეცემოდა კიდეც სისტემური ხასიათი. მან ასევე აღნიშნა რომ, გათვალისწინებულ იქნებოდა რჩევა დისერტანტისათვის ავტორეფერატის ბიბლიოთეკებსა და წამყვან უნივერსიტეტებში გაგზავნის სავალდებულოდ გახდომა, რაც ამ ეტაპისათვის იტვირთებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ამასთანავე გათვალისწინებული იქნებოდა სტუდენტთა ხელშეწყობა გაცვლით პროგრამებშიც.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს იმასთან დაკავშირებით თუ სულ რამდენ დოქტორანტს ჰქონდა დაცული დისერტაცია გასულ წლებში და რამდენი სტუდენტი იმყოფებოდა პროგრამაზე ამჟამად, სამივე კურსზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე დისერტაცია დაცული ჰქონდა ექვს ადამიანს და დღევანდელი მდგომარეობით პროგრამაზე ირიცხებოდა ხუთი დოქტორანტი.

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები ბოლო წლებში დაცულ დისერტაციებს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო საიტზე.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დისერტაციებს გაეცნენ შესაძლებლობის ფარგლებში ვიზიტისათვის განკუთვნილი დროის მონაკვეთში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ კითხვა გაჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ ერთი შეხედვით, თუნდაც დარგის არასპეციალისტის მხრიდან დისერტაციების ხარისხთან დაკავშირებით, რომლებიც როგორც აღინიშნა ხელმისაწვდომი იყო, გარკვეული კითხვები შესაძლოა გაჩენილიყო, ამიტომ საინტერესო იყო როგორ აფასებდნენ ექსპერტები ამ საკითხს და რა სახით მოახდენდნენ დისერტაციების კლასიფიკაციას, იყო ეს კარგი, საშუალო თუ ცუდი.

ექსპერტი დასმულ კითხვაზე ზოგადი პასუხით შემოიფარგლა და თქვა რომ, პირადად ის მოცემულ დარგში საქართველოში დაცული დისერტაციების 95%-ს ნეგატიურ შეფასებას მისცემდა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ გამოხატა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანს, რომელიც მუშაობდა ახალ ისტორიაზე რუსულის ცოდნა ესაჭიროებოდა. მაგალითად მოიყვანა მეცნიერის ანდრეი მალაშენკოს, ნაშრომები, რომელიც წერდა რუსულად და მისი ნაშრომების გაცნობა საჭირო იქნებოდა სტუდენტებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ისინი არ საუბრობდნენ იმაზე, რომ დოქტორანტებს არ სცოდნოდათ რუსული, არამედ იმაზე რომ მიუღებელი იყო რუსულის და ინგლისურის თანაბარ დონეზე დაყენება, რამდენადაც ახალ და უახლეს ისტორიაში კარგი სპეციალისტის გაზრდა შეუძლებელი იყო ევროპული ენების ცოდნის გარეშე. პროგრამაში საუბარი იყო ან რუსული ან ინგლისური ენის ცოდნაზე. რუსული ენა ვერ ჩაანაცვლებდა ევროპულ ენას თანამედროვე ისტორიკოსისათვის თუნდაც რეგიონის კონტექსტში. მნიშვნელობა არ ექნებოდა კავკასიის რომელი ნაწილიდან იქნებოდა სტუდენტი, მისთვის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო ინგლისურის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის გარეშე შედეგზე გასვლა შეუძლებელი იქნებოდა და დოქტორანტები პირველწყაროებს ამუშავებდნენ ინგლისური ენიდანაც, თუმცა ორივე ენის ჩაბარების მოთხოვნა მისაღებ ეტაპზე შესაძლოა სწორი არ ყოფილიყო. დოქტორანტი ვალდებული იყო ესწავლა ინგლისური, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიაღწევდა შესაბამის შედეგს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ მისი პოზიცია უკვე იქნა დაფიქსირებული და ის ურყევი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო პროგრამის დაყოფა, რაც ცალკე განსახილველ თემას წარმოადგენდა და ამ შემთხვევაში ინტერესის სფეროს სცდებოდა.

სხდომის თავმჯდომარე, დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა დოქტორანტებს სამეცნიერო პუბლიკაციები ინგლისურ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტები სამეცნიერო ნაშრომებს ინგლისურ ენაზე აფორმებდნენ და მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში.

სხდომის თავმჯდომარე, დაინტერესდა, რატომ კეთდებოდა აქცენტი სასწავლო რესურსების კონტექსტში მხოლოდ წიგნებზე, მაშინ როდესაც სადოქტორო პროგრამაზე ძირითადი ყურადღება უნდა დათმობოდა სტატიებს და სხვა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურას. ხომ არ იყო ეს გამოწვეული დარგის სპეციფიკიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მათ შეეძლოთ წარედგინათ ამობეჭდილი ვერსია იმ მასალებისა, რომლებიც ეძლეოდათ დოქტორანტებს გასაცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ დააკონკრეტა კითხვა და განაცხადა, რომ მას აინტერესებდა, შესაბამის შედეგზე გასასვლელად რა უფრო რელევანტური მასალა იქნებოდა დოქტორანტისათვის წიგნი თუ მაგალითად სამეცნიერო ჟურნალის სტატიები.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ პრობლემატური საკითხი იყო თუ რა უნდა ყოფილიყო შესწავლილი დოქტორანტურაში. შესაძლებელი იყო სხვადასხვა მიდგომა, პროგრამის მიზნიდან და დოქტორანტების საჭიროებიდან გამომდინარე. მაგალითად, მისი გამოცდილებით, შესაძლებელი იყო დარგობრივი სასწავლო კომპონენტის თითქმის ნულამდე დაყვანაც და უმეტესად კვლევით საქმიანობაზე ორიენტირება. მან აღნიშნა, რომ მისთვის პროგრამის სილაბუსები ჩვეულებრივი, უფრო საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის შესაფერისი სასწავლო სილაბუსების შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომლებიც ნაკლებად იყო რელევანტური სადოქტორო დონისათვის. ამასთანავე მისთვის გაუგებარი იყო საგნის - სადოქტორო ნაშრომის სილაბუსის არსებობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესის ცოდნა.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ ერთმანეთისაგან განხვავდებოდა დაცვის წესი და სილაბუსი, შესაბამისად ამ შემთხვევაში პრობლემა იყო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რაშიც მას დაეთანხმა საბჭოს წევრი სოფიკო ლობჯანიძეც.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო დაწესებულების კონცეპტუალური არჩევანი. შესაძლოა არსებობულიყო ორი ტიპის სადოქტორო პროგრამა, ერთი, რომელიც მოიცავდა მთელ დარგს და დოქტორანტები ირჩევდნენ თემებს არსებული აკადემიური პერსონალის შესაძლებლობებისა და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დარგის ფარგლებში და მეორე - ვიწრო, კონკრეტულ კვლევით პროექტზე დაფუძნებული, სადაც თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენდა ამ პროექტის განსაზღვრულ ნაწილს. ამ შემთხვევაში დაწესებულებას არჩეული ჰქონდა შუალედური მდგომარეობა, ეს არ იყო არც მთლიანად ისტორია და არც კონკრეტული კვლევითი თემატიკა. მან იკითხა, რამ განაპირობა დაწესებულების ასეთი არჩევანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი არჩევანი შესაბამისობაში მოდიოდა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან სპეციალობა - ახალი და უახლესი ისტორია. პროგრამაზე არსებობდა საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, რომლებსაც თანრიგით შეესაბამებოდა სემინარი I სემინარი II. პროგრამაზე მისული დოქტორანტები მუშაობდნენ წინასწარ, მათ მიერ განსაზღვრულ ინტერესის სფეროებზე და იმ შემთხვევაში თუ ვერ მოასწრებდნენ შედეგის მიღწევას 5 სემესტრის განმავლობაში, უმატებდნენ მეექვსე სემესტრსაც.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაკვირი იყო კონცეფცია, ის არ გულისხმობდა იმას, რომ დაწესებულება რაიმე წესს არღვევდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ შუალედური მიდგომით ისინი ცდილობდნენ ახლებურად ეჩვენებინათ სტუდენტებისათვის ლოკალური და საერთაშორისო მოცემულობების მიმართება.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა რომ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, მისი, როგორც წყაროდ გამოყენების პრაქტიკას იზიარებდა. მან ყურადღება გაამახვილა პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ დისერტაციისათვის წაყენებული მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტისთვის ტერმინ „სილაბუსის“ დარქმევა, არ უნდა ყოფილიყო მართებული, ასევე მას კითხვა ჰქონდა ასისტირებათან დაკავშირებით. კერძოდ, ასისტირების კომპონენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იყო დოქტორანტის მიერ ლექციის მომზადება და ჩატარება. წინაპირობად მითითებული იყო ისტორიის 2 კურსი და სწავლების თანამედროვე მეთოდები. ხომ არ იქნებოდა მართებული მას წინაპირობად დამატებოდა კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, რომელიც წარმოდგენილ პროგრამაში ისედაც გათვალისწინებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შეეძლო აერჩია პედაგოგიკის კურსი, ხოლო სწავლების თანამედროვე მეთოდები სავალდებულო იყო, რადგან იოლი შესაძლებელი იყო კარგ სპეციალისტს არ ჰქონოდა კარგი პედაგოგიური უნარები და შესაბამისად კურსი დაეხმარებოდა დოქტორანტს ამ კუთხით. მისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ გაჩნდა კითხვა სადოქტორო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო ამით იმის გამო დაინტერესდა, რომ უცნაურად მოეჩვენა მისი ცალკე საგნად სწავლება, რადგან ასეთი სახის ზოგად მითითებებს სახელწოდება „სილაბუსი“ შესაბამისად ვერ ასახავდა. სხვა პრეტენზიები ამ კუთხით არ არსებობდა. ის ასევე დაინტერესდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების საკითხით და განაცხადა, რომ გასაგები იყო, რომ გარკვეულ დონეზე საკითხების სიღრმის რეგულირება მისაღებ გამოცდა/გასაუბრებაზე შესაძლებელია დაერეგულირებინა უნივერსიტეტს. მაგრამ როდესაც აპლიკანტი ხედავდა ერთნაირი საკითხების ჩამონათვალს და ერთიდაიგივე ლიტერატურას მისაღებ გამოცდასა და შემდგომ სასწავლო კურსში, როგორ უნდა მიმხედარიყო, რა სიღრმეზე მომზადებულიყო გამოცდისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამას განსაზღვრავდა ლიტერატურა და პირველწყაროებზე მუშაობა. ლიტერატურა, რომელიც მითითებული იყო სილაბუსებში განხვადებოდა იმისაგან რისი ჩაბარებაც ხდებოდა მიღებისას.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა სწორი იყო თუ არა, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ახალი მსოფლიო ისტორიის მცოდნეს გაზრდა, დროის პერიოდით დაახლოებით XIX-XX საუკუნეებიდან.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა შენიშნა რომ ამ შემთხვევაში მსოფლიოსთან მიმართებაში ათვლა ცოტა უფრო ადრეული საუკუნეებიდან იწყებოდა.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა საკმარისი იყო თუ არა კრედიტები მსოფლიო ისტორიისათვის, მითუმეტეს იმ პირობებში თუ ის უფრო დიდ პერიოდს მოიცავდა ვიდრე საქართველოს ახალი ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ყველა საუკუნის დეტალური სწავლება, თუმცა ისინი სტუდენტს ასწავლიდნენ იმას თუ როგორ შესულიყვნენ სიღრმეში და ეკვლიათ კონკრეტული საკითხები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის ნათქვამიდან გამოდიოდა, რომ ისინი ასწავლიდნენ მასალაზე მუშაობას. მან კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა განემარტა საკმარისი იყო თუ არა 45 კრედიტი სფეროზე წარმოდგენის შესაქმნელად დოქტორანტებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ბირთვს წარმოადგენდა ორი 10 კრედიტიანი საგანი. შენიშვნა შეეხებოდა იმას რომ დოკუმენტაციიდან არ ჩანდა მაგალითად მეოცე საუკუნის პირველწყაროები. თუმცა სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე რთული სათქმელი იქნებოდა დაფარავდა თუ არა მასალა, ეს მთლიანად იყო დამოკიდებული პრობლემატიკაზე.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა საიდან ირჩევდნენ არჩევით საგნებს სტუდენტები, გარდა იმ რამოდენიმე საგნისა, რომელიც მოცემული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ აერჩიათ უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის საგნები.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო მითითება, რომ არჩევითი კურსები ავითარებდა პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კომპეტენციას, მაშინ როდესაც მაგალითად მენეჯმენტის კურსი საბაკალავრო დონისა იყო, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დოქტორანტისთვის მსგავსი კურსით რელევანტური კომპეტენციის გამომუშავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხოლოდ არჩევითი საგნებით ისინი კვალიფიკაციაზე არ გადიოდნენ. ამასთანავე გასათვალისწინებელი იყო ის, რომ მაგალითად მენეჯმენტი დოქტორანტებს მანამდე ნასწავლი არ ექნებოდათ და შესაბამისად ეს დონე შესაძლოა სავსებით რელევანტური ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დააფიქსირა პოზიცია, რომ მისი შეხედულებით კრედიტების დათვლა ხდებოდა მექანიკურ დონეზე. ამასთანავე, მას არასწორად მიაჩნდა პროგრამის მორგება იმ სტუდენტებზე, რომლებსაც რაიმე გარკვეული ცოდნა, თუნდაც მენეჯმენტში არ ექნებოდათ. პროგრამა ხარისხის შესანარჩუნებლად ვალდებული იყო შეეთავაზებინა სტუდენტებისათვის დოქტორანტურის დონის შესაბამისი საგნები რათა შედეგი დამდგარიყო იმ დონესთან ჰარმონიაში, რომელზეც მიმდინარეობდა სწავლება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და უთხრა, რომ მეცნიერული კვლევის და აკადემიური წერის სილაბუსები სრულიად ხელოვნურად იყო გაერთიანებული. 5 კრედიტიან კურსში სპეციფიკური კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის გაერთიანება არასწორი ქმედება იყო. საბჭოს წევრმა ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს ისტორიოგრაფიის კვლევის მეთოდების გაშლა და არა მისი მოქცევა 5 კრედიტიან საგანში. ამასთანავე, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა რომ სავალდებლო კურსში, რომელიც წარმოდგენილი იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მეთოდების სახით სალექციო საკითხები გადანაწილებული იყო არათანაბრად. მან ასევე განაცხადა, რომ პროგრამისათვის უმჯობესი იქნებოდა არჩევით საგნებში ყოფილიყო საგნები, რომლებიც დააკმაყოფილებდა კვლევით ინტერესებს და დრო არ დაიკარგებოდა პროგრამისათვის არასათანადო კურსებზე.

სხდომის თავმჯდომარე, დაინტერესდა, რამდენად ლოგიკური იყო, დამატებითი სასწავლო კურსების დონის აწევა სადოქტორო სწავლების დონემდე რადგან,

დოქტორანტებს ამ საკითხების წინარე ცოდნა არ გააჩნდათ და როგორ შეძლებდნენ კურსის ათვისებას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ დაამატა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამისათვის სასარგებლო იქნებოდა მაგალითისათვის კურიკულუმის განვითარების სწავლება, რაც ამ ეტაპზე არცერთ სილაბუსში არ ფიქსირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგანაც დოქტორანტებს შესაძლოა პედაგოგიური გამოცდილება არ ჰქონოდათ კურსები ყოველთვის იწყებოდა სწორედ სილაბუსების ჩამოყალიბებაზე საუბრით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი ხელმძღვანელი ჰყავდათ დოქტორანტებს და იყო თუ არა მაგალითად ია ჯიმშიტაშვილი ხელმძღვანელი, რადგან მისი კვლევები არ იყო ისტორიასთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პიროვნება არ იყო ხელმძღვანელი და დოქტორანტებს ხელმძღვანელებად ჰყავდა მხოლოდ ისტორიის სპეციალისტები, იქნებოდნენ ისინი აკადემიური პერსონალი თუ მოწვეული პროფესორები.

სხდომის თავმჯდომარემ, იკითხა როგორ ხდებოდა ისტორიის დარგში ნაშრომების გამოქვეყნება საზღვარგარეთ. მაგალითად, მხოლოდ ლოკალურ, ქართულ თემატიკაზე მორგებული კვლევა, რამდენად შეესაბამებოდა უცხოური ჟურნალების თემატიკის პრიორიტეტებს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიწრო, ლოკალური თემის გარშემო შესრულებულ ნაშრომს ჰქონოდა დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა ჩვენთვის, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მეორეს მხრივ სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება გარკვეული გარანტორია კვლევის ხარისხის. ისტორიის დარგში რა ბერკეტი არსებობდა ნაშრომების ხარისხის აწევისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართული თემატიკა მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, საერთაშორისო არენაზე მაინც გადიოდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენ წელიწადში ახერხებდნენ დოქტორანტები შედეგზე გასვლას და საკმარისი იყო თუ არა 3 წელი მათთვის; ამასთანავე რა ხელისშემწეობი პირობები არსებობდა, რომ დოქტორანტებს გაადვილებოდათ კვლევისათვის საჭირო პირველწყაროებთან წვდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარდა იმ მასალისა, რაც ბიბლიოთეკაში იყო ხელმისაწვდომი, არსებობდა შეთანხმება ეროვნულ არქივთან, რაც სტუდენტებსა და თანამშრომლებს იქ უფასოდ მუშაობის საშუალებას აძლევდა. ამასთანავე დახმარებას უწევდათ რუსთაველის ფონდიც, მათ შორის სტატიების გამოქვეყნების კონტექსტში და კონფერენციებზე სიარულის თვალსაზრისითაც.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მისი კითხვა ეხებოდა ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებას და არა კონფერენციებში მონაწილეობასა და კონფერენციის შრომების კრებულში გამოქვეყნებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოქვეყნებამდე სტატიები გადიოდა შესაბამის შემოწმებას, შეფასებას და ქვეყნდებოდა მხოლოდ ამის შემდეგ.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა რეკომენდაციის მიცემა იმაზე, რომ მისაღები ენები ყოფილიყო როგორც ინგლისური, ასევე რუსული.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მის ხელთ იყო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც რამოდენიმე სტუდენტმა შეიჩერა სტატუსი. ის დაინტერესდა რა იყო ამის მიზეზი, ფინანსური საკითხი თუ ისინი ვერ ახერხებდნენ ნაშრომის დასრულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადად სახელდებოდა ორი მიზეზი, რომლის მიხედვითაც ან კვლევას ვერ ასრულებდნენ და ურჩევნიათ შეიჩერონ სტატუსი, თავად, დამოუკიდებლად გაწიონ გარკვეული სამუშაო და გააგრძელონ სწავლა ან არიან დასაქმებულნი და თავისუფალი დროის ფაქტორი უშლით ხელს.

19:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:54 საათზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დატოვა სხდომა 19:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, რომ იმისათვის რომ საბჭოს მიეღო ობიექტური გადაწყვეტილება და არ დარჩენილიყო კითხვები, საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციის მიღება ექსპერტებისაგან. კერძოდ, სხდომის მანძილზე ნაკლებად იქნა გამახვილებული ყურადღება იმაზე, ქმნიდა თუ არა დაცული დისერტაციები ახალ ცოდნას, რაც ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის მიზანი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს გააჩნდათ კითხვები და საჭირო იყო ექსპერტების მხრიდან დამოუკიდებულების დაზუსტება. ექსპერტებს შეეძლოთ მოცემულ მომენტშივე გაეცნოთ პოზიცია საბჭოს წევრებისათვის ან აელოთ 2 დღის ვადა და მოემზადებინათ პასუხი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დისერტაციაზე დასკვნის მომზადებისათვის 2 დღე არ წარმოადგენდა საკმარის ვადას. მათ ვიზიტის ფარგლებში შეძლებისდაგვარად უკვე გადახედილი ჰქონდათ დისერტაციებისათვის. ექსპერტები თვლიდნენ, რომ ნაშრომები იყო დისერტაბელური, იმდენად რამდენადაც აქცენტი ნაშრომებში კეთდებოდა ახალი წყაროების გამოყენებაზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ ახალ ცოდნაში იგულისხმებოდა ახალი წყაროების გამოყენება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დისერტაციებს გამოყენებაში შემოჰქონდათ ახალი წყაროები.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ, ნაშრომის ხელმძღვანელის და ნაშრომის ავტორის ვინაობის დაუსახელებლად წაიკითხა დასკვნები დისერტაციიდან, რომელიც ეხებოდა 2008 წლის ომის საკითხებს. მაგალითისათვის, ერთ-ერთი დასკვნა იყო რომ, რუსეთთან დიალოგის გამონახვა უალტერნატივოა. გიორგი ქვარცხავამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თვლიდნენ თუ არა რომ ეს დასკვნები იყო დისერტაბელური.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად დასკვნების სტანდარტული, არც თუ სიახლის შემცველი ხასიათისა, ისინი გამოტანილ იქნა ახალ ლიტერატურაზე, წყაროებზე დაყრდნობის შედეგად, ამდენად შესაძლებელი იყო ნაშრომი ჩათვლილიყო დისერტაბელურად. რაც შეეხებოდა უშუალოდ მოვლენის შეფასების სისწორეს, ამისათვის საჭირო იყო დროის გასვლა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ ექსპერტების ნათქვამი ნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა დასკვნა არ ყოფილიყო ახალი, თუმცა ლიტერატურა იყო ახალი.

ექსპერტმა თქვა, რომ ისტორიის დარგში ეს ნაწილობრივ შესაძლოა შეფასებულიყო როგორც მცდელობა, რომ მომხდარიყო გარკვეული ახალი მასალის სისტემატიზება.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ დისერტანტმა შეკრიბა მანამდე გაზრდილი მასალა, მოახდინა კლასიფიცირება და მომავალში ამას სხვა ისტორიკოსიც გამოიყენებდა. მოიაზრებოდა თუ არა ეს ახალი ცოდნის შექმნად.

ექსპერტმა უპასუხა საბჭოს წევრს რომ ეს შესაძლოა მოაზრებულიყო ახალ ცოდნად.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ ამონარიდი მოიყვანა კიდევ ერთი დაცული დისერტაციის დასკვნიდან - რომელიც შედარებით ძველ თემატიკას ეხებოდა: "ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული როგორც ევროპის, ასევე რუსეთისა და აზიის ქართველთა ემიგრანტული წრეები ეხმარებოდნენ ფულით, იარაღით, უცხოეთის პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებით და სხვა საჭირო საშუალებებით საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, რაც ამ ძალებს გამარჯვების მეტ იმედს უნერგავდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში;" მან იკითხა, რა შეეძლოთ ამის შესახებ ეთქვათ ექსპერტებს.

ექსპერტმა განაცხადა რომ ის კომენტარს ვერ გააკეთებდა, რადგან გაცნობილი არ იყო მთლიანად სადოქტორო ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ აქ მნიშვნელოვანი იყო გარემოება, რომ დოქტორანტები იყენებდნენ ახალ მასალებს, ხოლო დასკვნების ფორმა უშუალოდ მათ გადაწყვეტილებაზე იყო დაფუძნებული.

კითხვების ამოწურვის 20:21 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 20:27 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 9 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 9 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ გააცნო გადაწყვეტილება დაინტერესებულ მხარეს და განაცხადა, რომ საბჭომ მსჯელობის პროცესში გამოკვეთა ის ორი აუცილებელი პირობა, რომელთა გათვალისწინებაც არსებითად მნიშვნელოვანი იყო პროგრამისათვის: პირველი გახლდათ დისერტაციების შეფასება, რაც მოქმედი სადოქტორო პროგრამის შეფასების საუკეთესო საშუალება იყო. სასურველი იქნებოდა დანერგილიყო წესი ნაშრომების შეფასების სადოქტორო პროგრამების რეაკრედიტაციის დროს. მეორე გახლდათ სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანა სადოქტორო დონესთან (ლიტერატურა, კვლევითი კომპონენტი და სხვა).

20:45 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

სხდომის მდივანი
ლევან გორდეზიანი

